საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/142 " 18 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

პ. ქათამაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, პაატა ქათამაძე 2020 წლის 31 დეკემბრიდან გამწესდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

პაატა ქათამაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 12 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის პაატა ქათამაძეზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

პაატა ქათამაძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 25-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება. იგი არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარე.

პაატა ქათამაძე არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარების (2019 წ.) თანაავტორი. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სრულყოფის მიზნით, იგი მონაწილეობდა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ პაატა ქათამაძეს გაესაუბრნენ 16 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა შეაფასა კანდიდატი პაატა ქათამაძე კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

პაატა ქათამაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 14-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ხოლო ერთმა წევრმა მიიჩნია, რომ აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრთა მიერ პაატა ქათამაძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1374 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 91.6%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის პირველ ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 14-მა წევრმა მიიღო, პაატა ქათამაძემ მოიპოვა 12 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 11 კანდიდატი, მათგან 4 მოქმედი მოსამართლე (1 - საკასაციო, 1 - სააპელაციო და 2 - პირველი ინსტაციიდან), 6 ყოფილი მოსამართლე და 1 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბებიაშვილი მიხეილ - 0 ხმა
2. გოგატიშვილი დიანა - 0 ხმა
3. დუგლაძე ქეთევან - 0 ხმა
4. ესებუა ზვიად - 0 ხმა
5. კლდიაშვილი ლაშა - 0 ხმა
6. კოხრეიძე ლეილა - 0 ხმა
7. მესხიშვილი ქეთევან - 2 ხმა
8. ურთმელიძე თამაზ - 0 ხმა
9. ქათამაძე პაატა - 12 ხმა
10. შოშიაშვილი მაია - 0 ხმა
11. ხუჭუა ვლადიმერ - 0 ხმა

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - პაატა ქათამაძის კეთილსინდისიერების (საბჭოს 14-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებდა აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (სამართლებრივი ნორმების ცოდნის, სამართლებრივი დასაბუთების უნარის, წერის უნარის) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 10 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე განწესდა პაატა ქათამაძე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი